საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

# ბრძანება № 6/21

ქ. თბილისი „22" მაისი 2017 წ.

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 6 ივლისის N6/19 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილების მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2015 წლის 6 ივლისის N6/19 ბრძანების პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) კახი ბექაური, კომისიის თავმჯდომარე – კომისიის აპარატის ადმინისტრაციული მართვა, აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის, კომისიის საერთაშორისო და სპეციალური პროექტების კოორდინაცია";

2. 2015 წლის 6 ივლისის N6/19 ბრძანების პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) ვახტანგ აბაშიძე, კომისიის წევრი – მაუწყებლობის სფეროს განვითარების, სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის მიმართულებები;"

3. 2015 წლის 6 ივლისის N6/19 ბრძანების მე–2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებს შესაბამის სფეროებზე საკურაციო უფლებამოსილების ვადა განესაზღვროს 2017 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით";

4. ბრძანება ძალაში შედის კომისიის ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი.ხარებავა).

**კომისიის თავმჯდომარე** კახი ბექაური